N 22-10-1099
27/06/2022

1099-შ-22-10-3-202206271650

„რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N 6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ კომენტარებზე განხილვის ცხრილი

ადმინისტრაციული ორგანო / კერძო პირი, და საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	**კომენტარები**	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარებზე**
შპს „ტვ სარფი“ (წერილობითი კომენტარი, კომისიაში რეგისტრაციის N შ-22-6/1996; 20.05.2022).	შპს „ტვ სარფი“ ქ. თბილისში, F8 ლიცენზიის შესაბამსად ახორციელებს ოპერირებას. კერძოდ, სატელევიზიო ციფრულ სატრანზიტო მაუწყებლობას (DVB-T სტანდარტი) MMDS ტექნოლოგიის გამოყენებით, 2564 ÷ 2612 მჰც და 2636 ÷ 2692 მჰც სიხშირულ ზოლებში. აღნიშნული ლიცენზიის მოქმედების ვადა იწურება 2023 წლის 22 აპრილს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კომპანიის ფუნქციონირება შეუძლებელია F8 ლიცენზიის გაგრძელების გარეშე.	წარმოდგენილი „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ პროექტით, 2 500 – 2 700 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში არ განხორციელებულა ცვლილებები. აღნიშნულ დიაპაზონში, გამოყენება ეროვნულ დონეზე დარჩა იგივე.
შპს „მაგთიკომი“ (წერილობითი კომენტარი, N 220519009; 19.05.2022).	შპს „მაგთიკომი“ გვთხოვს მივაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: 1) მე-5 თაობის მობილური კავშირგაბმულობის ქსელების ფუნქციონირებისთვის განსაზღვრულ დიაპაზონებში საერნაოსნო სამსახურებთან შესაძლო რადიოხელშეშლების არსებობის თაობაზე. 2) 24250 - 27500 მჰც, ე.წ. 26 გჰც სიხშირულ დიაპაზონში, მე-5 თაობის მობილური ქსელების ფუნქციონირებისთვის სიხშირული ბლოკების განაწილებისა და 3) 26 გჰც დიაპაზონში მე-5 თაობის მობილური ქსელების დანერგვისას კომისიის სტრატეგიის შესახებ.	შპს „მაგთიკომის“ წერილობითი კომენტარი დაკავშირებული 26 გჰც დიაპაზონში მობილური ქსელების ფუნქციონირებისთვის სტრატეგიის შემუშავებასთან, რაც ასახული ვერ იქნება რადიოსიხშირეთა განაწილების ეროვნულ გეგმაში. 26 გჰც დიაპაზონში მე-5 თაობის მობილური ქსელების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, კომისიის სტრატეგია შემუშავებული იქნება ევროკომისიის (2020/590/EU და 2019/784/EU), CEPT-ის (ECC/DEC/(18)06) და ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების (EN 301 908) შესაბამისად, სიხშირეთა გამოყენების პრიორიტეტების და წესების გათვალისწინებით. სტრატეგიაში გათვალისწინებული იქნება სიხშირული ბლოკების ზოლის სიგანე, რომელიც გამოყენებული იქნება მე-5 თაობის

		მობილური ქსელების მიერ, ასევე მათი თანაფუნქციონირების კრიტერიუმები მომიჯნავე ზოლებში არსებულ სხვა რადიოსაკომუნიკაციო სისტემებთან. სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება რადიოხელშეშლების რისკები სხვა სამსახურებთან: საერნაოსნო, ფიქსირებული თანამგზავრული, ფიქსირებული. ამ მიზნით ასევე მხედველობაში იქნება მიღებული ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში რადიოხელშეშლების სტატისტიკის შესახებ, რომლის ანალიზს აწარმოებს CEPT-ის სპეციალური შემსწავლელი ჯგუფი.

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია